07/11/2025

MES 8 25 0001567430

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი:** 24.10.2025
**სხდომის დაწყების დრო:** 15:00 სთ
**სხდომის დასრულების დრო:** 16:57 სთ
**საბჭოს თავმჯდომარე**: ლევან შავაძე (I, II, III, IV, VII)
**სხდომის თავმჯდომარე:** ქეთევან აფთარაშვილი (V, VI)
**საბჭოს მდივანი:** ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ლევან შავაძე** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** - შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ვაჟა კელიხაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** - შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
8. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
9. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
10. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
11. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
12. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
13. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
14. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
16. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

1. **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი**

- პარმენ ხვედელიძე - რექტორი;
- ელიდა ხვედელიძე - რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით;
- გიორგი გაბედავა - პროგრამების ხელმძღვანელი;
- ასმათ დიასამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

- ოთარ ცინცაძე - ISO მენეჯერი;
- ეკატერინე მუსხაჯბა - საზღვაო - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი;
- თამილა ქარცივაძე - უცხენოვანი განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

**სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია**

- ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- ომარი კიკვიძე - ფაკულტეტის დეკანი;
- პაატა გერაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- კონსტანტინე სირბილაძე - ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი;
- მაია შარაბიძე - პროგრამის თანახელმძღვანელი;
- ციცინო თურქაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- ჯემალ კარალიძე - პროგრამის ხელმძღვანელი.

**აკრედიტაციის ექსპერტები**

- ნინო გორგოშაძე (I საკითხი)
- თამთა ცხოვრებაძე (I საკითხი)
- ირაკლი დევაძე (I საკითხი)
- ტატო ლაფაური (I საკითხი)
- თამთა თურმანიძე (III, IV საკითხი)
- ირმა ღარიბაშვილი (V საკითხი)
- ნინო მგალობლიშვილი (VI საკითხი)
- გურანდა ჭელიძე (VII საკითხი)
- თამარ გვიანიშვილი (VII საკითხი)

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძემ, ხოლო დამტკიცებული დღის წესრიგის მეხუთე და მეექვსე საკითხების შემთხვევაში - ქეთევან აფთარაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.**
**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**
1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო და "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ხელოვნების ისტორია და თეორიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “სახელოვნებათმცოდნეო კვლევები”(ქართული ხელოვნების ისტორია) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართული ხელოვნების ისტორიის" (ძველი და თანამედროვე ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ”მშენებლობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის" საბაკალავრო პროგრამაზე პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი).

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**
1. შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი “საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო და "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ხელოვნების ისტორია და თეორიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “სახელოვნებათმცოდნეო კვლევები”(ქართული ხელოვნების ისტორია) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართული ხელოვნების ისტორიის" (ძველი და თანამედროვე ხელოვნება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ”მშენებლობის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის" საბაკალავრო პროგრამაზე პროგრამაზე საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

**პირველი საკითხი:** შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი “საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო და "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

**პროგრამა 1**
**პროგრამის დასახელება:** საზღვაო ნავიგაცია;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** ტრანსპორტის მომსახურებები 1041;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**პროგრამა 2**
**პროგრამის დასახელება:** საზღვაო ნავიგაცია;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** ტრანსპორტის მომსახურებები 1041;
**სწავლების ენა:** ინგლისური
**კრედიტების რაოდენობა:** 240;
**სტატუსი:** აკრედიტებული;

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.**
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იანუშ ურიაშმა აღნიშნა, რომ იგი მეორედ ეწვია უნივერსიტეტს და შეფასების ფარგლებს მიღმა შეამჩნია მნიშვნელოვანი პროგრესი ინფრასტრუქტურის, ცნობიერებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის მიმართულებით. გარდა ამისა, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა დაიწყო ნავიგაციის პროგრამის შეთავაზება ინგლისურ ენაზე.
ჯგუფის საბოლოო შეფასება პოზიტიურია, თუმცა არსებობს საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას. პირველ სტანდარტში აუცილებელია სწავლის შედეგების დახვეწა. ისინი უნდა გახდეს კონკრეტული და მოიცავდეს ცოდნას, უნარებსა და სოციალურ კომპეტენციებს. ასევე, სწავლის შედეგები უნდა განვითარდეს „გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების“ დონეების მიხედვით.
რეკომენდაციებთან ერთად წარმოდგენილია რჩევებიც, რომლებიც მოცემულია მსხვილი პროექტის სახით. ვინაიდან ინგლისური ენა არის საკომუნიკაციო საშუალება, მიზანშეწონილია მისი მოთხოვნის გაფართოება. ერთ-ერთი რჩევა ეხება შეფასების პროცედურების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ხოლო მეორე — სტუდენტთა ჩართულობას ხარისხის შეფასების პროცესში.
ინფრასტრუქტურა საკმაოდ კარგია: უნივერსიტეტს აქვს სასწავლო აუზი, სადაც შესაძლებელია

ტალღების სიმულაცია, თუმცა მიზანშეწონილია დაემატოს სასწავლო ნავი, რათა სტუდენტებმა ზღვაში გასვლამდე მიიღონ რეალური გამოცდილება.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი გაბედავამ აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები მნიშვნელოვანია პროგრამების განვითარებისთვის. ორივე პროგრამა სრულ შესაბამისობაშია როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე საერთაშორისო სტანდარტებთან, მათ შორის „მეზღვაურის მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან. უნივერსიტეტის წარმომადგენლების მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა გამართულია: მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული, ხოლო სასწავლო გეგმა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ელემენტებს, მათ შორის გათვალისწინებულია 6-თვიანი სასწავლო პრაქტიკა გემზე. განსაკუთრებულად აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა პრაქტიკის მოდულში მოქმედი მეზღვაურების ჩართვა უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკად მიიჩნია. ორივე პროგრამისთვის გაიცა ტექნიკური ხასიათის სამი კლასტერული რეკომენდაცია, რომლებზეც უნივერსიტეტმა უკვე განახორციელა შესაბამისი ქმედებები, კერძოდ:

1. *„რეკომენდებულია, დაკონკრეტდეს პროგრამის სწავლის შედეგები ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების კატეგორიების მიხედვით.“* უნივერსიტეტმა რეკომენდაცია შეასრულა: პროგრამის ხელმძღვანელებმა სწავლის შედეგები დააჯგუფეს აღნიშნული კატეგორიების მიხედვით.
2. *"რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს სტაბილურობის, ტვირთის მართვისა და გემის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები.“* რეკომენდაცია ორივე პროგრამაში აისახა. შესაბამის ნაწილში, სადაც აღწერილი იყო საზღვაო ოპერაციები, მოხდა ტერმინების დაკონკრეტება და დეტალიზაცია.
3. *"რეკომენდებულია, პროგრამების სწავლის შედეგების რუკა გადამუშავდეს ისე, რომ თითოეულ სწავლის შედეგში აისახოს განვითარების სამივე დონე: გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება.“* რეკომენდაციის შესაბამისად, ორივე პროგრამის რუკა გადაიხედა და მოდიფიცირდა ცხრილიც, რათა თითოეული შედეგის კავშირი სამივე დონესთან თვალნათლივ გამოჩნდეს.

გიორგი გაბედავამ ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისთვის რჩევები წარმოადგენს სისტემური განვითარების ნაწილს, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება გასამახვილებელია ორ რჩევაზე:

- უნივერსიტეტი დაარსებულია 1993 წელს და დაარსების დღიდან ფლობს სასწავლო გემს, რომელზეც სტუდენტები სხვადასხვა კურსის ფარგლებში გადიან სასწავლო პრაქტიკას. გემი რეგისტრირებულია და ვარგისია გაცნობითი სასწავლო პროცესისთვის. საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტს შეუძლია მტკიცებულებების წარმოდგენა.
- მეორე რჩევასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ მართალია ინგლისურენოვან პროგრამებზე მხოლოდ ქართველი სტუდენტები სწავლობენ, თუმცა ეს უნივერსიტეტისგან დამოუკიდებელი საკითხია, რადგან რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. უცხოელებს აქვთ გარკვეული შეზღუდვები საზღვაო პროგრამებზე სწავლის კუთხით: მათ შეუძლიათ ბაკალავრის დიპლომის მიღება, მაგრამ მეზღვაურობა მოითხოვს „საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს“ სერთიფიკატს, რომლის მიღების უფლება უცხოელებს არ აქვთ. შესაბამისად, ეს წარმოადგენს მათთვის მნიშვნელოვან ბარიერს. აპლიკანტები ინფორმირებულები არიან აღნიშნული გარემოებების შესახებ.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ქრისტინე ახალაძემ ექსპერტებს მიმართა კითხვით: მას აინტერესებდა, რატომ გასცეს რეკომენდაცია სწავლის შედეგებში სტაბილურობის, ტვირთის მართვისა და გემის ტექნიკური მომსახურების საკითხების დამატებასთან დაკავშირებით, თუ მათივე თქმით, პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან. ასევე, დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ამ მიმართულებით რეალური ხარვეზი, თუ მხოლოდ გაუმჯობესების საჭიროება იყო.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, იანუშ ურიაშმა განმარტა, რომ აღნიშნული კომპონენტები წარმოდგენილია კლასტერის სასწავლო გეგმაში, თუმცა არ არის ასახული სწავლის შედეგებში. რეალურად, პროგრამები სტუდენტებს ამ ცოდნას აძლევს, მაგრამ აუცილებელია, რომ ეს ასახული იყოს სწავლის შედეგებშიც.
საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი გაბედავამ დაამატა, რომ წინა აკრედიტაციისას სწავლის შედეგები უფრო ვრცელი იყო, თუმცა პროგრამებმა მიიღეს რეკომენდაცია — შედეგები გამხდარიყო მოკლე და ლაკონური. ამ ცვლილების შემდეგ შედეგები დამოკლდა, ხოლო ზემოხსენებული საკითხები მოიაზრებოდა საზღვაო ოპერაციების ფარგლებში. ახალი რეკომენდაციის შესაბამისად, შედეგები დეტალურად დაიშლება.
საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა დაწესებულებას მიმართა კითხვით: რატომ არის საბაკალავრო ნაშრომი არჩევითი?
საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელმა, გიორგი გაბედავამ განმარტა, რომ სტუდენტები 6-თვიანი საერთაშორისო საზღვაო პრაქტიკის ფარგლებში ასრულებენ ტექნიკურ ანგარიშს, რაც მოცულობითი სამუშაოა და ამ პირობებში აღარ რჩება საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო კურსად არსებობის აუცილებლობა. მის ნაცვლად, სტუდენტები ირჩევენ სხვა არჩევით დარგობრივ კურსებს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 15:43
**დასრულების დრო**: 15:56

**პროგრამა 1**:
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$-ემუხლის პირველი პუნქტის, $27^5$-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$-ემუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო

ნავიგაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

**პროგრამა 2**:
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$-ემუხლის პირველი პუნქტის, $27^5$-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის "საზღვაო ნავიგაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

**მეორე საკითხი:** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის “ხელოვნების ისტორია და თეორიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

**პროგრამის დასახელება:** ხელოვნების ისტორია და თეორია;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** სახვითი ხელოვნება 0213;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**

აკრედიტაციის ექსპერტი არ ესწრებოდა სხდომას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში უნივერსიტეტმა წარადგინა საკმაოდ დიდი ხნის წინ და დღეს უფრო მეტი მტკიცებულება ექნებოდა უნივერსიტეტს. დაწესებულებამ დამატებით იმუშავა ინტერნაციონალიზაციასა და ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის შექმნაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ კითხვები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 16:01
**დასრულების დრო**: 16:03

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ხელოვნების ისტორია და თეორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მესამე საკითხი:** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**პროგრამის დასახელება:** სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია);
**საფეხური:** დოქტორანტურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** სახვითი ხელოვნება 0213;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 50;

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე

ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**პროგრამის დასახელება:** ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება);
**საფეხური:** მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** სახვითი ხელოვნება 0213;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 120;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ არა

**საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა III და IV საკითხების ერთად განხილვა, რადგან ორივე საკითხი წარმოადგენს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშს და ორივე ანგარიში შეაფასა ერთმა ექსპერტმა.**

**მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავისი პოზიცია.**
აკრედიტაციის ექსპერტმა, თამთა თურმანიძემ აღნიშნა, რომ გაცემული ოთხივე რეკომენდაცია შესრულებულია. უნივერსიტეტმა ასევე შეასრულა რიგი რჩევებიც.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ანგარიშის ცენტრში წარდგენის შემდეგ უნივერსიტეტმა გააგრძელა მუშაობა ინტერნაციონალიზაციისა და ბიუჯეტის დივერსიფიკაციის მიმართულებით. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში საგრანტო დაფინანსების მიღება რთულია, თუმცა გრძელდება უცხოეთიდან გრანტის მოზიდვაზე მუშაობა და ეს დინამიკა მზარდია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ კითხვები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 16:10
**დასრულების დრო**: 16:18

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^6$ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნების ისტორია)" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^6$ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქართული ხელოვნების ისტორიის (ძველი და თანამედროვე ხელოვნება)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მეხუთე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

**თვითაცილების შესახებ განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა უნივერსიტეტთან.**

**პროგრამის დასახელება:** მშენებლობა;
**საფეხური:** მაგისტრატურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი;

**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 120;

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავისი პოზიცია.**
აკრედიტაციის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია პროგრმაის აკრედიტაციის შესახებ. მისი შეფასებით, გაცემული 6 რეკომენდაციიდან 5 შესრულდა. არ შესრულდა 4.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია „რეკომენდებულია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო საფუძველი. კერძოდ, გამოირიცხოს პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის (პროგრამის ხელმძღვანელი) და მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის (ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პირის) ფუნქციების თანხვედრა“. უნივერსიტეტმა გამოხატა მზაობა ეს რეკომენდაცია შეასრულოს 2026 წლის რეაკრედიტაციის პროცესში, თუმცა მიმდინარე ეტაპზე ვერ მოხერხდა რეკომენდაციის შესრულება, რადგან 1 წელი იყო მოკლე ვადა და ეს გამოიწვევდა გარკვეულ პრობლემებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას.

**საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ფაკულტეტის დეკანმა, ომარ კიკვიძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ამჟამინდელი წარმატება განპირობებულია პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციით. ის ასევე არის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. ეს განაპირობებს პროგრამაში მისი შეტანილი წვლილის სიდიდეს. აქედნა გამომდინარე, თუ რეკომენდაცია დარჩება, უნივერსიტეტის გაითვალისწინებს მას 2026 წლის რეაკრედიტაციის პროცესში და შეცვლის პროგრამის ხელმძღვანელს.

**საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ქეთევან აფთარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს. მას აინტერესებდა, აინტერესებდა, წარმოადგენს თუ არა ექსპერტის აზრით პრობლემას, პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პარალელურად ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელის პოზიციის დაკავება. ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ მას არ ქონდა დოკუმენტაცია სამუშაოს აღწერილობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, თუ სამუშაოს აღწერილობებში არ არის გადაფარვა, საკითხის მოგვარება შეიძლება 2026 წელს რეაკრედიტაციისას, ხოლო გადაფარვის შემთხვევაში ეს უნდა მოგვარდეს დარჩენილ პერიოდში. საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა ჰკითხა ექსპერტს თუ რა ტიპის გადაფარვაა მოსალოდნელი მათ შორის. ირმა ღარიბაშვილმა უპასუხა, რომ თეორიულად შესაძლებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციების - მონიტორინგისა და ხარვეზებზე რეაგირების ფარგლებში, ყურადღების მიღმა დარჩეს გარკვეული საკითხები. ქეთევან აფთარაშვილმა მიმართა დაწესებულებას თხოვნით, მოკლედ განემარტათ პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების შესახებ მექანიზმი. ომარ კიკვაძემ უპასუხა, რომ აკრედიტაციის პროგრამის ინსპექტირება ხდება სხვა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ და შეცდომების გაპარვა გამორიცხულია და არ შედის პროგრამის ხელმძღვანელის ინტერესში. ირმა ღარიბაშვილმა განმარტა, რომ თავდაპირველად ექსპერტმა ეს საკითხი დასვა რჩევად, ხოლო საბჭომ ის გადაიტანა რეკომენდაციად. საბჭოს რომ სცოდნოდა სხვა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ჩართულობის შესახებ, მაშინ არ დადგებოდა ამ რეკომენდაციის გაცემის საკითხი. სამუშაოთა აღწერილობის დოკუმენტის წარდგენა იქნებოდა მტკიცებულება. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა თითქმის ყველა ქართული პროგრამის რეალობაში არსებობს და თუ რაიმე ნორმატიული კანონი არ გაიწერება, კრიტიკა მიდგომა იქნება მკაცრი. შესაბამისად, რეკომენდაცია უნდა ყოფილიყო რჩევად. პროგრამის ხელმძღვანელმა, პაატა გერაძემ განმარტა,

რომ პროგრამის შემუშავებისას გადაიხედა რეგულაციები და არც ერთი რეგულაცია არ კრძალავდა ერთი პირის მიერ პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციის ერთდროულად დაკავებას. ამასთანავე, საქართველოში უამრავი წარმატებული პროგრამაა მსგავსი სტრუქტურით.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 16:35
**დასრულების დრო**: 16:37

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მშენებლობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მეექვსე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

**თვითაცილების შესახებ განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა უნივერსიტეტთან.**

**პროგრამის დასახელება:** დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისთვის;
**საფეხური:** ბაკალავრიატი;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** დიზაინის ბაკალავრი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0212 მოდა, ინტერიერი და სამრეწველო/ ინდუსტრიული დიზაინი ;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 240;

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა თავისი პოზიცია.**

აკრედიტაციის ექსპერტმა, ნინო მგალობლიშვილმა მიმოიხილა განხორციელებული ცვლილებები და აღნიშნა, რომ პროგრამამ სისტემატურად და მიზნობრივად მოახდინა რეაგირება რეკომენდაციებში მოცემულ საკითხებზე და შეასრულა ყველა მათგანი. გაცემული რვა რეკომენდაციიდან ყველა სრულად შესრულდა.

**საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის თანახელმძღვანელმა, კოტე სირბილაძემ აღნიშნა, რომ ანგარიშის წარდგენიდან ბევრი სასიკეთო ცვლილება განხორციელდა, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის გაზრდისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით.

**საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ კითხვები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 16:44
**დასრულების დრო**: 16:45

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიზაინი ტექსტილისა და ინტერიერისათვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**მეშვიდე საკითხი:** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის პროცესი);

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
√ არა
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
√ კი

**თვითაცილების შესახებ განაცხადა ნარგული ასანიძემ.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა უნივერსიტეტთან.**

**პროგრამის დასახელება:** ისტორია;
**საფეხური:** დოქტორანტურა;
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ისტორიის დოქტორი;
**დეტალური სფეროს დასახელება და კოდი:** 0222 ისტორია ;
**სწავლების ენა:** ქართული;
**კრედიტების რაოდენობა:** 60 (სასწავლო კომპონენტი);

**მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ თავიანთი პოზიციები.**
აკრედიტაციის ექსპერტმა, გურანდა ჭელიძემ დამსწრეებს წარუდგინა შეფასების ძირითადი დეტალები და აღნიშნა, რომ ექსპერტმა ჯგუფმა შეადგინა 4 რეკომენდაცია და ყველა მათგანი მიემართება პირველ სტანდარტს. პირველი სტანდარტი შეფასდა მეტწილად შესაბამისად, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტები - სრულად შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ, გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით კითხვები აღარ დარჩა. ექსპერტი თამარ გვიანიშვილი დაეთანხმა გურანდა ჭელიძეს და დაამატა, რომ შეფასებისას ასევე გათვალისწინებული იყო დაწესებულების მიერ წარდგენილი დამატებითი დოკუმენტები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ვლადიმერ ღლონტმა აღნიშნა, რომ გათვალისწინებულია ყველა რეკომენდაცია და წარდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ კითხვები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო:** 16:51
**დასრულების დრო**: 16:56

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანისა და კვალიფიკაციის კოდისცვლილების შესახებ.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
მიჩნეულ იქნეს, რომ "ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

**დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 24 ოქტომბრის 16:57 სთ-ზე.**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან



საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე